ხუთშაბათი 1918 წ. აპრილის, 5—(18) № 66 ხუთშაბათი 1918 წ. აპრილის, 5—(18) № 66

წელიწადი მეორე ფასი 20 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

რ ე დ ა ქ ც ი ა.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კ ა ნ ტ ო რ ა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 8 მ., 1 საათს შემდეგ 10 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

ღრმად მწუხარებაში მყოფნი დედმამა კესარია და თედორე, ძმები ვასილი და გრიგოლი, მამიდები ფეფია და ტასიაი ბიძები კოსტა ამბაკო პეტრე და ილარიონი, ბიძის ცოლები ნატალია და კატო, ბიძაშვილები ნოე ოლია და ვერა, მამიდაშვილები კოლია და მარო, უგულითადესის სიმწუხარით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ, რომ თათრებთან ბრძოლაში გმირულად მოჰკლეს პორუჩიკი

იროდიონ თედორეს ძე ბარკალაია.

პანაშვიდები ყოველ დღე ვაგზლის ქ. მახლობლად საკ. სახ.

## ომი ოსმალეთთან.

საქართველოს განწირვის დღე დაუდგა. ამიერ-კავკასიის სეიმმა საზავო მოლაპარაკება შესწყვიტა და ოსმალეთს ომი გამოუცხადა. იმავე დროს სეიმმა მთელი თავისი უფლება სამ კაცს: ე. გეგეჭკორს, ნ. რამიშვილსა და ს. კარჩიკიანს გადასცა, მაშასადამე მთავრობაში აზერბეიჯანის წარმომადგენელი არ არის.

სეიმის სხდომაზე თათრებმა განაცხადეს: ომში აქტიურ მონაწილეობას არ მივიღებთ, სხვებს კი დაგეხმარებითო. ეს დახმარება ალბად იმას უნდა მოასწავებდეს, რომ გზას არ დაგვიკეტავენ მაგრამ ეს მხოლოდ ნეიტრალიტეტია და მაშასადამე ომში მხოლოდ ქართველები და სომხები არიან ჩაბმული.

სომხები და თურქები ერთმანეთის ისტორიული მტრები არიან. დღეს კი ქართველებმა თავისი ბედი სომხების ბედთაგ გადააბეს და, თუ დამარცხდენ, სომხებთან ერთად აღიგვებიან პირისაგან ქვეყნისა. აზერბეიჯანის თათრობა კი ხელს დაიბანს, იტყვის, მე არც ერთს მხარეს არ ვემხრობოდიო, და, ოსმალეთი გაიმარჯვებს თუ საქართველო, უნებლიად დარჩება.

მაშ ვინ-ღა გვეხმარება? სეიმმა დაიჭირა კავშირი რუსის ბოლშევიკებთან. მაგრამ ბოლშევიკებს, ცხადია, მაინცა და მაინც არც ისე დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ, ვინაიდან ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულობას ვერ დაარღვევენ და ოსმალეთს ოფიციალურად ომს ვერ გამოუცხადებენ. მათ მხოლოდ მოხალისეებისა და პურის მოწოდება შეუძლიათ. მეორე მხრით. ვაი თუ მათმა მოხალისეებმა ჩვენს ჯარში დეზორგანიზაცია შეიტანონ და დისციპლინა დაარღვიონ! უფრო სასარგებლო იქნება, რასაკვირველია, პურის მოწოდება. მაგრამ ამ მხრითაც შესაძლებელია დაბრკოლება: შეიძლება ინგუშებმა გადაგვიჭრან გზა. ყოველ შემთხვევაში კავკავის გზაზე დიდი ძალების დაბანდება დაგვჭირდება.

იმავე დროს არ ვიცით, რა გუნებაზე იქნებიან ლეკები, ჩაჩნები და ამიერ-კავკასიის სხვა მაჰმადიანები, რომელნიც რკალივით გარს გვარტყიან.

ცენტროფლოტსაც დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია, როგორც სამხედრო აგრეთვე სასურსათო საქმეში.

მაგრამ, რომ ავწონოთ და შევადაროთ მტრისა და ჩვენი ძალები, ვფიქრობ, რომ უპირატესობა მტრისკენ არის: ოსმალეთის ჯარი, მართალია, დაუძლურებულია, მაგრამ მას ძლევამოსილი გერმანია უდგია მხარში, ამგვარად ეს ბრძოლა—უთანასწორო ძალთა ბრძოლაა. და მაშასადამე მით მეტი სიფრთხილე, მით უკეთესი გამგებლობა და უფრო მტკიცე ეროვნული შენაწევრება და ერთობა გვჭირდება.

ნუ დავეცემით სულით, ნუ დავკარგავთ გონებას, ნუ აგვერევა გზაჯვალი, შევხედოთ სინამდვილეს ფხიზლად, მოვიხმაროთ სასარგებლო ძალები, შევქნათ ძლიერი სამხედრო, საფინანსო, სასურსათო და საგამგებლო ორგანიზაცია, და მოვსპოთ შინაური, სამოქალაქო ომი, კლასიური და პარტიული ბრძოლა.

ყველა კლასი და ყველა პარტია უნდა შეერთდეს!

ვასილ წერეთელი.

## განწირვის დღე.

ვინ გაზომო ჰკუა გონებით და ვინ იგრძნოს კაცობრივი გრძნობით უდიდესი საშინელება, რომელიც ჩვენ დაგვატყდა თავს. ვინ და როგორ წარმოიდგინოს, რომ პაწაწინა საქართველო, ომით დაქანცული ოსმალეთ გერმანეთის და სხვათა ბევრთა კავშირს შეებრძოლა. გერმანეთმა ესაა მთელი ქვეყანა სძლია; იგი მოკავშირე და ძალაა ოსმალეთისა. ჩვენ მთავრობას თვალიც ჰქონდა და ყურიც: თავისი და მოწინააღმდეგის ძალა კარგად ჰქონდა, ალბად, აწონილ დაწონილი, და რადგან, ნაბიჯი მაინც გადასდგა, უნდა, უეჭველად, ვიგულისხმოთ, რომ ყოფილა ამისთვის საკმაო მიზეზი. ეხლა ჩვენ ამ მიზეზის გამორკვევის და მასზე მსჯელობის დრო აღარ გვაქ: ჩვენ დაუყონებლივ, მთელი ჩვენი ძალ ღონით უთანასწორო ომში გაბმულ სამშობლოს უნდა უშველოთ. ჩვენ საქართველოს ბევრი რამ გადახედია, 40 საუკუნე ცეცხლის რკალით გარშემორტყმული ყოფილა, მაგრამ იმდენი ნიჭი და ძალა გამოუჩენია, რომ ეს ჩვენი ტურფა ქვეყანა და ჩვენი ტკბილი ენა დღემდე შეუნახავს. დღეს რომ ჩვენი სისუსტით ან უგნურებით ეს ქვეყანა დავღუპოთ, მაშინ რა უთხრათ ან მომავალ თაობას ან მამა პაპათა ჩვენთა საფლავებს!? ხსნა ჩვენ ერთობაშია, გონიერებაში. ყველაფერი პარტიული და თეორეტიული უნდა დაუყონებლივ მოვიშოროთ და სამშობლოს ხსნის გზა გამოვძებნოთ.

გლეხი.

## ჩვენი გზა.

ასი წლის წინად საქართველო თავის შესაფერებლად ძლიერ მოკავშირეს ეძებდა.

ქართველ ერს ჰიანჭველებსავით მოდებოდენ მტრები და მის გაქრობას ცდილობდენ... ქართლის ცხოვრებას მესაჭეებმა მაშინ ჩრდილოეთის კალთები არჩიეს საფარად. ერთ საუკუნის უკან როთული იყო და მძაფრად ეჯახებოდა ერთმანეთს ერის რელიგიური მხარე. სარწმუნოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. უამრავ მტერთაგან შევიწროებული ერეკლე გმირი იძულებული იყო რუსული ორიენტაცია მიეღო, რადგან იმ ჟამად რუსეთი ძლიერი იყო და ამასთანავე ერთ მორწმუნე.

ასი წლის შემდგომ საქართველოს ისევ დასჭირდა მშველელი...

საქართველო ეძებს მოკავშირეს... ვინ და როგორი უნდა იყოს მოკავშირე? ჭეშმარიტებაა, რომ ერი ყოველთვის თავს შეაფარებს ისეთ სახელმწიფოს, რომელიც ძლიერია, დაუბრკოლებლად შეუძლია რეალურად ერის მფარველობა. ამ კითხვაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ძალას აქვს. საქართველოსთვის უაზრობა იქნება, რომელიმე დასუსტებულ უძლურებულ სახელმწიფოს, რომ დაუმეგობრდეს, რადგან მაგვარი სახელმწიფო ვერ მოეხმარება ჩვენს ქვეყანას შემოსეულ მტერთა მოგერიებაში. ასი წლის წინად ჩრდილოეთისკენ ცქერა, რუსთა პატივს აზრი ჰქონდა, მიზან შეწონილიც იყო.

ახლა სულ სხვაა... რა ფასი ექნება ამას. რუსეთმა ომი შესწყვიტა, სამარცხვინო ზავს ხელი მოაწერა იმიტომ, რომ ომის განგრძობა არ შეეძლო.

რუსეთს მხოლოდ მცირედი დახმარება შეუძლია. ჩვენ დღეს გვებრძვიან ოსმალები და განგებამ გვაშოროს, მაგრამ მაინც მოსალოდნელია, რომ თურქს უკან გერმანელი გამოჰყვეს. რუსებს არ შეუძლიათ არც გერმანელებთან და არც ოსმალებთან ახლა ომის ატეხა, ვინაიდან რუსებმა გუშინ ჩამოაგდეს ზავი გერმანელებთან და ოსმალებთან; აქედან ის გამომდინარეობს, რომ რუსები ცენტრალ სახელმწიფოთა კავშირს ქართველების დასახმარებლად ომს ვერ გამოუცხადებენ... როგორი უნდა იქმნეს ჩვენი გზა? საქართველო ობოლია, მხარს არავინ უმაგრებს, შინაური უთანხმოებაც ბობოქრობს, გარეშე მტერი კი უთვალავია... საქართველოს ეროვნულმა საბჭომ თავის სიტყვა სთქვა და ოსმალეთთან თავდაცვის ომის წარმოება აუცილებლად დაინახა... სხვანაირად არც შეიძლებოდა. მაგრამ კითხვაა ვინ არის საქართველოს მოკავშირე! ამიერ-კავკასიაში, რომლის შეუძლებელ ერთობას თავის სიცოცხლე შეალიეს დასელებმა, მოკავშირეთ ჩვენ მხოლოდ სომხები გვყავს; მაჰმადიანობა განზე გადგა, ზურგი შემოგვაქცია, რითაც ამიერ-კავკასიის მთლიანობას ბოლო მოუღო. სომხებს ოსმალები მათ ისტორიულ მტრად მიაჩნიათ და მათი მორიგება შეუძლებელია, სომხები ვერ ეგუებიან აგრეთვე ამიერ კავკასიის მაჰმადიანებს და მათ შორის მუდამ სისხლის ღვრა არის. სომხები იმ თავიდანვე ოსმალ-გერმანელთა წინააღმდეგ შველას შესთხოვენ ინგლისს, საფრანგეთს, ამერიკას და რუსეთს.

ე. ი. შეთანხმების.. სახელმწიფონი გერმანულ კავშირის წინააღმდეგ ამიერ-კავკასიაში მოკავშირეს შოულობენ... ეს გარემოება კი შესაძლებელს ხდის, რომ ამიერ-კავკასია დიდი ხნით ომის ცეცხლში გაეხვიოს და მაშინ ვინ უწყის რა მოუვა ერთ მუჭა საქართველოს.

განწირულების ჟამია და ასეთ დროს უაღრესად საჭიროა სიფრთხილე, დაკვირვება და შორს მჭვრეტელობა.

ერის ჭირისუფალთ სრულიად საქართველოს ერთან ერთად ჰმართებთ ქართლის ცხოვრების ისეთი მიმართულება მისცენ, რომელიც მას დაღუპვას ააშორებს... თუ ოდესმე გვჭიროდა ჩვენ ძალთა შემოკრება, შეთანხმება ერთობა, ეს ყველაზე უფრო დღეს გვინდა. მომენტი სერიოზულია, ხელ მეორეთ სწყდება ბედი ქართლის. ჩვენ უნდა ვიყოთ მორიდებით, გონიერათ და დაფიქრებით, ვინაიდან ჩვენ, რომ დღეს ბრუნდათ წავიყვანოთ ქართლის გეზი საქართველოს მომავალს სამუდამოდ დავასამარებთ.

ირო.

## მოწოდება.

ჩვენმა რედაქციამ მიიღო ჩვენებურ სოციალდემოკრატების შემდეგი მოწოდება: ამიერ-კავკასიის სეიმის რ. ს. მ. პ. ფრაქცია და საოლქო კომიტეტი მოუწოდებს სრულიად რუსეთის ყველა რევოლუციურ ორგანიზაციებს, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს (ბოლშევიკებს) რომ დაეხმარონ ამიერ-კავკასიას ფულით, პურით და ჯარით, რადგან ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება შესწყდა და ომი დაიწყო.

## წესრიგი.

შავი დღეები დაგვიდგა... მტრის ჯარი ჩვენს მიწა წყალზეა. მოქალაქენო! ამ დროს უაღრესად საჭიროა შიგნით წესრიგის შენარჩუნება. უპასუხის მგებელო პირები წყალს ამღვრევენ და მდგომარეობას აფორიაქებენ. იყავით ფრთხილად, ღინჯად და წინ დახედულად. ერიდეთ შინაურ გამწვავებას. მომენტი სერიოზუ-

ლია, არც ერთი კაცი არ უნდა მოკვდეს... არც ერთი კაცი არ უნდა დიგვაკლდეს შინაურ შფოთში. ყველაფერი თავდაცვისთვის. ყველა ჩავდგეთ გარეშე მტერთა მოსაგერიებლად. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ შემოსეულ მტრის წინააღმდეგ თავდაცვითი ომის წარმოება დაადგინა... წყნარად მოქალაქენო!. შეიგნეთ მომენტის სიმწვავე და მოემზადეთ განსაცდელში მყოფ სამშობლოს!..

## საქართველოს ეროვნულ საბჭოში.

### აპრილის 1 სხდომა.

კრება დანიშნულია 12 საათისთვის. საბჭოს წევრები იგვიანებენ, პირველ საათისთვის ცნობა მოვიდა ბათუმის მტრის ხელში გადასვლის შესახებ. ყველას რაღაც გამოუთქმელი მწუხარება აღბეჭდია სახეზე. 1 საათსა და 40 წუთზე თავმჯდომარე **გ. რცხილაძე** კრებას ხსნის და აღნიშნავს რომ საბჭოს დღევანდელი კრება მოწვეულია წინასწარ თათბირის თანახმად. მცირეოდენ კამათის შემდეგ სწყდება, რომ კრება არ იყოს დახურული, ვინაიდან გუშინ არც სეიმის სხდომა იყო დახურული. სამხედრო მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს მთავრობის თავმჯდომარე და სამხედრო მინისტრი ე. გეგეჭკორი.

### ე. გეგეჭკორის მოხსენება.

დღეს უკანასკნელი სამწუხარო ცნობა მივიღეთ: ბათომი უკვე მტრის ხელში გადავიდა. ანარია, რომელიც მიუვალ სიმაგრეს წარმოადგენდა,—დატოვებულ იქმნა ჩვენი ჯარების მიერ. რამდენიმე საათით წინ შევეკითხნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, მივეცით ბრძანება მეციხოვნე გამოეყვანათ და რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა ზარბაზნები მოეშალნათ. არ ვიცით რამდენად შეასრულეს ეს უკანასკნელი ბრძანება.

გუშინ წინ მე დავათვალიერე ყველა სიმაგრეები. დავათვალიერე ანარიაც და ღრმად დავრწმუნდი, რომ თუ კი იქ მდგომი ჯარი ცოტაოდენ წინააღმდეგობას გაუწევდა მტრის ჯარს, ამ სიმაღლის დაცემა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა. ყველაფერი მრავალია. თვით ჯარზე ლაპარაკი მგონი, მეტია. ჯარში ისეთი სულიერი განწყობილება იყო, რომ მათ არავითარი სურვილი არ ჰქონდათ წინააღმდეგობა გაეწიათ. მე შემთხვევა მქონდა მე 4 ე პოლკის წარმომადგენელთან მელაპარაკნა. იგი მიცხადებდა. ჩვენ მარტის 18 წინააღმდეგობას უწევდით მტერს. რეზერვი არ მოგვივიდა და ჩვენც იძულებულნი ვიყავით ადგილები დაგვეტოვებინა და უკან წამოვსულიყავით. ჩვენდა საუბედუროთ როგორც სახლში ისე ჯარში რაღაც პატოლოგიურ მოვლენას ვამჩნევთ. ჩვენ გვყავდა ბათუმში 10 ათასამდე ჯარისკაცი. მოქმედი არტილერია შესდგებოდა 72 ზარბაზნით, როგორც ავტორიტეტები მოწმობენ: ზარბაზნები – უკანასკნელ სისტემის. მოწინააღმდეგეს ჰყავდა 4 ათასი რეგულიარული ჯარი და 4 ათასიც აჭარელი. აი ამ ძალებით აიღო მტერმა ბათომი.

მეორე სიმაგრეზე რომელსაც კიბე ეწოდება ჩვენ საკმაო ძალა გვყავდა. ღამე ეს ჯარი სტოვებს პოზიციას და უკან მიდის. რისთვის? ვილაცას უთქვამს: ჩვენებმა მახლობელი პოზიციები დასტოვეს და მტერმა შემოგვიარაო. არის კიდევ ერთი გარემოება. თვით ჯარის ნაწილები ერთი ერთმანეთს უნდობლობის თვალით უყურებდენ. ერთიერთმანეთს ემდურებოდნენ. ოფიცრები და ჯარისკაცები საყვედურით მიმართავდნენ. წითელგვარდიელები ფედერალისტების რაზმს ემდუროდნენ. ისინი გარბიან და ჩვენ მარტო გვტოვებენო. ასეთივე უნდობლობას იჩენენ ორგანიზაციებისას და ჯარების მეთაურების შესახებაც.

ასე, ჩვენ ჯარს აკლდა ერთსულოვნობა, თორემ ტეხნიკის მხრივ ჩვენი ჯარი მტერთან შედარებით გაცილებით კარგ პირობებში იმყოფებოდა.

უკანასკნელათ ჩხენკელი მატყობინებდა: იძულებული ვარ ბრესტის საზავო ხელშეკრულებას ხელი მოვაწეროთ. მე ბათუმიდან გადავეცი, რომ ხელშეკრულებაზე ხელი არ მოეწერა, რადგან ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს ჩვენი თვითმკვლელობა მოვახდინოთ. ჩვენ არა გვაქვს უფლება ძალდატანებას სანქცია მივცეთ, რადგან შემდეგში სამშვიდობო კონფერენციაზე ჩვენს შესახებაც იქნება ლაპარაკი. ხაზი, რომლითაც ჩვენ გვინდა ვიაროთ — ეს არის მეორე პოზიციის გამაგრება. არის სხვა ხაზიც, მაგრამ ამას ჩვენ ვერ დავადგებით. ვინც მოისურვებს სხვა ხაზით სიარულს მან აგოს პასუხი ერის წინაშე. ჩვენ კი პასუხისმგებლობა ტყრილი გვექნება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ოფიცრობა, რომელიც პოზიციებზე სდგას თავის მოვალეობას პირნათლათ ასრულებს.

ბათომში ჩემს იქ ყოფნის დროს მოკლული იყო 14, დაჭრილი 30.

აი, ასეთია ვითარება, მაგრამ არ დამდგარა ისეთი მომენტი, რომ იარაღი დავყაროთ. მტერი ბათუმზე არ შეჩერდება, რადგანაც მას მომავალში რუსეთის გაძლიერებისა ეშინიან. მას სურს რუსეთსა და თავის შორის კედელი კავკასიონის მთებთან აღმართოს.

**შ. ძარუმიძე.** კითხულობს, თუ რა მდგომარეობაშია ყარსი და ვინ იყო ჯარების უფროსად ბათომში.

მომხსენებელს ეკითხებიან ბაქოს და სოხუმის მდგომარეობის შესახებ.

**ევგ. გეგეჭკორი.** ყარსი ჯერ გამაგრებულია. უკანასკნელი შეტევა სომხების სასარგებლოდ გათავდა. მტერს 12 ვერსით დაახევინეს. ყარსი ჯერ კიდევ მიუვალი სიმაგრეა.

ბათომის ჯარებს უფროსობდნენ გენერლები გედევანიშვილი და მდივანი. ყველა ჯარების უფროსად გენერალი ლებედინსკი იყო.

სოხუმი და ოჩემჩირი ბოლშევიკების ხელშია. სოხუმში ჯარები არ გაგვიგზავნია. ბაქოს შესახებ უკანასკნელ ცნობების თანახმად—ბოლშევიკებს აჯიკაბულთან თათრები დაუმარცხებიათ. მაგრამ ეხლა მოვიდა ცნობა, რომ ქიურდამირთან მაღალაშვილის რაზმმა ბოლშევიკების ჯავშნიანი მატარებელი დაამარცხა. ბაქოში მარტო მსხვერპლი, როგორც გადმოგვცემენ, დღემდის 4 ათასამდეა. ამ დღეებში ბაქოსკენ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

სოხუმის შესახებ დაწვრილებით ცნობებს აქ მყოფი ნ. თავდგირიძე მოგვახსენებთ.

**ნ. თავდგირიძე.** მოგეხსენებათ, რომ ბოლშევიკები, უბრალო ძარცვა-გლეჯის სურვილით გატაცებული ადამიანები უწინაც დაგვიცნენ. ეხლა კი პირველად ის 30 მაწანწალა ევროპიულად მოწყობილ ქალაქს გაგრას დაეცა. მათ მეთაურობს ვინმე სტეფანოვი, რომელიც აქამომდე გაზეთის გამყიდველი იყო. მათ მოლოდინში „კარლოსი" ვითხოვეთ, მაგრამ უარი შემოგვითვალეს. ჩვენი ძალებით კი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეთ. და ჩვენი ერთად-ერთი მდიდარი კუთხე ნიავდება. რუსობა ბოლშევიკებს მიემხრო. მე დახმარების სათხოვნელად ჩამოვედი. იქნებ გადავარჩინოთ როგორმე ეს ერთადერთი მდიდარი კუთხე.

**დ. ვაჩნაძე** (ერ. დ.), ეკითხება მთავრობის თავმჯდომარეს: მართალია, თუ არა, რომ ბათომის დასაცავად სომხის ბატალიონი გაიგზავნა? რა მდგომარეობაშია ქართული სამხედრო გზა?

**ე. გეგეჭკორი.** უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მართალია. ასეთი განკარგულება იყო, თუმცა ფაქტიურად ჯარი არ გაგზავნილა. რაც შეეხება სამხედრო გზის დაცვას, აქ ბრძანდება ამ გზის დაცვის უფროსი პოლკოვნიკი აბესაძე და იგი მოგახსენებთ დაწვრილებით ცნობებს.

**ა. აბესაძე.** ერთი წელიწადია რაც მე ვიცავ საქართველოს სამხედრო გზას. კავკავის ბოლშევიკებს თან და თან აქედან ძალები ემატათ. იწვევენ აქაურ ჯარის კაცებს (მოხევეებს) უნიშნავენ დიდ ჯამაგირს და ასე იბირებენ თავიანთ მხარეზე. შეველადე წინააღმდეგობის გაწევა. მოხევეებს არ უშვებდი, მაგრამ ახლა ურმებით დაიწყეს სიარული. ეს ყველაფერი მე მთავრობას მოვახსენე. 9 თებერვალს აქეთ ვსთხოვდი იარაღს, მაგრამ იარაღს არ იძლეოდნენ. მუშათა საბჭომ მომცა იარაღის გამოტანის ნება. მიუხედავად ამისა მოხევეებმა 900 ვინტოვკა მიიღეს, ჩვენ-კი იარაღი არა გვაქვს. დარიალის ხეობაში ერთი ტყვიისმფრქვეველი მაქვს, და ტყვიის მფრქვეველისთვის—25 პატრონი. მაგრამ ჩვენ ინგუშებთან კარგ განწყობილებაში ვართ და ბოლშევიკებს აქეთ არ გამოუშვებთ. ქართველებს არას ერჩიან. პირდაპირ გვიცხადებენ, რომ ნუ აჰყვებით სომხებს თორემ ჩვენ შორისაც განხეთქილება ჩამოვარდებაო. აღსანიშნავია სოფლის კომიტეტის მოქმედება, რომელიც შეუერთდნენ ჩემს ჯარის კაცებს: სოფლებში დარჩით, მილიციონერებად ჩაეწერენითო. დარიალის ხეობაში მუდამ შეგვეძლება გამაგრება თუ კი იარაღი და ტანისამოსი მექნება. მაზარების მიღებას ვერ ველირსე 800 ჯარის კაცი მყავს და ამას წინად 150-დე მაზარა ძლივს მივიღე. ამის გარდა მჭირდება ტყავებიც, მაგრამ არ მაქვს. კიდევ კარგი რომ სურსათი ბევრი მაქვს და ჯარის კაცებიც მუდამ ასრულებენ ჩემს ბრძანებას. უნდა აღვნიშნო რომ მუდამ კი ვერ ვათვალიერებ პოსტებზე დაყენებულ ჯარისკაცებს, რადგან ერთი დანჯღრეული „ლინეიკა" მქონდა, ისიც ამასწინად მცხეთაში გამიტყდა და ერთ ოსმა თავის ურმით ჩამომიყვანა აქ.

3 საათსა და ნახევარზე ფრაქციების მოსალაპარაკებლად კრება 20 წუთით შესწყდა.

(დასასრული ხვალ)

## ქართული პრესა.

გაზ. „საქართველო"-ში ბ. ა. ასათიანი ეხება საქართველოსთან დროული მდგომარეობას და სხვათა შორის სწერს:

ამ თავისუფლების ხანაში საქართველოს ეროვნული პოლიტიკა რომ ეწარმოებინა, რომ წარმდგარიყო ის ევროპის სახელმწიფოებისა და თვით ოსმალეთის წინაშე, როგორც ერი, როგორც საქართველო, ეჭვით არ არის, ისეთი მძიმე არ იქნებოდა მისი ხვედრი. ქართველ ერს შეეძლო შეთანხმება და შეკავშირება ადერბეიჯანთან, მთიელებთან თვით ოსმალეთისთვის არავითარ მხარეს არ წარმოადგენს საქართველო, თუ ის იქნება თავისუფალი და რუსეთისგან დამოკიდებული. ოსმალეთის მოკავშირეებისათვის კი დიდად სასურველი იქნებოდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ახალი ომი არ დატრიალებულიყო და ამიერ-კავკასიაში მშვიდობიანობა დამყარებულიყო, საქართველოს უყურებენ, როგორც რუსეთის ნაწილს და იმიტომაა მის მეზობელ მუსულმან ერთა მასთან დამოკიდებულება ისე გამოურკვეველი და უნდობელი, ამიტომ შეიქმნა გაუმაძღარი ოსმალეთის მადაც.

ბიდად დავაგვიანეთ. არა ინტერნაციონალური, არა ამიერ-კავკასიური, არამედ ქართული ეროვნული საშინაო და საგარეო პოლიტიკა იხსნიდა ქართველ ერს შინაური ანარქიისაგან და იმ საგარეო უბედურობისაგან, რომელიც ამ წამად მას დაატყდა. დაგვიანებულია, მაგრამ ამ ეროვნულ განსაცდელის ჟამს ეს კიდევ ერთად ერთი გზაა: საქართველო უნდა წარსდგეს როგორც ერი თავის მეზობლების და თვით ევროპის წინაშე. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ უნდა აიღოს ხელში საქართველოს პოლიტიკური მეთაურობა ომისა და ზავის საკითხში. ჩვენ გვწამს, რომ სხვანაირი იქნება ჩვენთან დამოკიდებულება მახლობელი და შორეული მეზობლების, როდესაც ჩვენ ველაპარაკებით როგორც საქართველო და არა უდღეური ამიერ-კავკასია. მთელი ხალხთა და ადერბეიჯანის ერთა ტრადიციული საქართველოსთან კავშირი და თანაგრძნობი ჯერ კიდევ საჭსებით არ ჩამქრალა. ბევრი მათი პოზიციით უკმაყოფილოა ოსმალეთთან ომის საქმეში ... ჩვენ წინააღმდეგ მახვილი აიღოს, განა ჩვენ შეგვიძლია მოვითმინოთ, რომ თათართა მასსა ოსმალეთს შეუერთდნენ? ჩვენ გვაქვს ზნეობრივი უფლება რომ მოვთხოვოთ მათ მეორე საზღვრის, ჩრდილოეთის საზღვრის დაცვა. ჩვენ გვაქვს უფლება მოვთხოვოთ მათ ლოიალობა და ნეიტრალიტეტი ოსმალეთისაგან თავდაცვის საქმეში. ყოველივე ამას, ჩვენ გვწამს, ისინი პირნათლად შეასრულებენ და არა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს შექმნის სურვილით, არამედ იმიტომ, რომ რაც უნდა მძიმე და გასაჭირი იყოს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, ის ამ მძიმე განსაცდელს გადიტანს, როგორც მას გადაუტანია მრავალი უფრო მძიმე გასაჭირი და მათ კარგად იციან, რომ მათ მახლობელ მომავალში კიდევ ამ ერთან მოუხდებათ ჭირის და ლხინის განაწილება. ამიერ-კავკასიას საფრთხე ორი მხრით მოელის. ვისაც უმძიმს სამხრეთის საზღვარზე დადგომა, მან ჩრდილოეთის საზღვარი უნდა დაიცვას ყოველივე ამისთვის საჭიროა ამიერ-კავკასიის ყველა ერებთან ეროვნულად შეთანხმება და შეკავშირება, ეს უზრუნველჰყოფს საქართველოს დანარჩენ საზღვრებს და ქართველ ერს თავდაცვის მოწყობის საშუალებას მისცემს.

ა. ასათიანი

## ცნობათა დღიური

### ომი ოსმალეთთან

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ აპრილის 1-ს დაადგინა თავდამსხმელ ოსმალეთს თავდაცვითი ომი გამოუცხადოს.

— ქუთაისში ხმა გავრცელდა, რომ საქართველოს ლაშქრის მთავარი სარდალი გენერალი გაბაშვილი ქართლ კახელებით ბათომის დასაცავად გაემგზავრაო.

— ბათომის ფორტები ქართველთ ხელში ყოფილა.

— ფოთიდან თბილისი, გაზეთებს ატყობინებენ, რომ ბათომი ქართველებს დაუკავებიათ.

## ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

✦ **ბათომის დაკარგვა.** (მთავრობის ცნობა) ბათომი უკვე თათრების ხელში გადავიდა. ბათომში სიწყნარეა. ჩვენი ჯარი ჩაქვასთან სდგას და მაგრდება. ზეკარის და ბაღდადის რაიონებში აქა-იქ თათრის მზვერავები გამოჩნდენ, ამათ წინააღმდეგ შესაფერი ზომებია მიღებული როგორც ჩემ მიერ, ისე სამხედრო შტაბისაგან. გუბერნიის კომისარი ივ. კაჩუხაშვილი.

✦ **ბათომის შესახებ.** ადგილობრივი მთავრობა იუწყება, რომ ბათომი მტერს გადაეცაო. ხოლო თბილისის გაზეთების ცნობით ბათომი ისევ ქართველთა ხელშია. დანამდვილებით ჯერ ვერაფერი გავიგეთ.

✦ **დიდი მსხვერპლი.** ქ. არმავირში ბოლშევიკებს დაუხოცავთ შემდეგი ქართველები.

1. კეზელი ალექსანდრე რაჟდენისძე.
2. საყვარელიძე ვარლამ, ექიმი.
3. წულუკიძე კოწია, ოფიცერი.
4. ქლენტი გიორგი, კაპიტანი.
5. მანსვეტაშვილი დიმიტრი, კაპიტანი.
6. ამირაჯიბი ირაკლი.
7. ნაკაშიძე ალექსანდრე, სტუდენტი.
8. მიქელაძე ილია, სტუდენტი.
9. კორძაია ნიკოლოზ, ოფიცერი.
10. ჩემოდანოვები სამი ძმა.
11. ჩიქოვანი ისიდორე.

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა, გოკიელის სახლი, ქუთაისში.